№ 842 სამშაბათი, 15 ივნისი 1896 1899 სამშაბათი, 15 ივნისი № 842

სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურთ ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკავშირებლად მიმართონ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 ან „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირ ს-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი: ერთის წლით 6 მან. თვით 60 კაპ.
ცალკე ნომერი 3 კაპეკი.
ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე — 5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 339

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 3 მან. 50 კაპ.

!!მიაქციეთ ყურადღება!!

ჩინეთის მაღაზია
დ. ფ. დემენტიევისა
გოლოვინის პროსპექტი, ზუბალაშვილის სახლი სობრანიეს გვერდზე.
იგემეთ ჩაი პირველი მოკრებისა 1898 წლისა
მშვენიერი ყნოსვისა და სასიამოვნო გემოსი
ჩაი და ყავა იყიდება წვრილად და პარტიობით
ყოველს მყიდველს ჩვენის ჩაისას დაეთმობა მანათზე აბაზი და საჩუქრად მიიღებს ჩინეთის, იაპონიის და სხვა საპირო და საოჯახო ნივთს.
ვინც 12 ან მეტ გირვანქა ჩაის იყიდის ჩვენთან იმას
საჩუქრად მიეცემა ჩაის სერვიზი
იქვე მრავალგვარი ჩინეთის და იაპონეთის ნივთებია საჩუქრებისა და ნობათებისათვის
მაღაზიები იმყოფება როსტოვ-დონზე, კიევში, ოდესაში, ილტაში, ნიკოლაევში, ეკატერინოდარში, ხარკოვში, ეკატერინოსლავში პიატიგორსკში და ტფილისში
!!მიაქციეთ ყურადღება!!
(100—38)

სამკურნალო და ხმშვენიერი(?)
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო თვალების ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ქ. გერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. ქობანი.
მბულატორიასთან არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟის თვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია
*Лѣчебница С. В. Топуріа* въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

*** ქართულ დრამატ. საზოგადოების კურთხევა. გუშინ წინ კვირას, 12 საათზედ აკურთხეს ახლად გახსნილი კონტორა დრ. საზოგადოებისა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოთეკა და კანცელარია. კურთხევას მრავალი ხალხი დაესწრო როგორც გარეშე პირნი, აგრეთვე საზოგადოების წევრნი და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი. აშკარად ეტყობოდა, რომ ყველა დიდად მოხარული ამ საგულისხმიერო მოვლენით. რაც უნდა სთქვან ქართული თეატრი დიდ სარგებლობას აძლევს ჩვენ ხალხს, მწერლობასთან ერთად ბეჯითად ემსახურება ერის გონებრივსა და ზნეობრივ ზრდასა და წარმატებას.

კონტორა ღია იქნება ყოველ დღე დილის თერთმეტ საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. ბიბლიოთეკა აბარია ჩვენს საყვარელ არტისტს ვასილ აბაშიძეს ხოლო კანცელარია საზოგადოების მდივანს ნოე ჟორდანიას.

*** გარდაცვალებულების სასრულება(?) მოჰყვანა ქუთაისის ბანკის კრებამ დაადგინა და დაავალა გამგეობას ათის წლის წინედ გარდაცვალებული კრებისგან 3000 მ. გუბერნიის წინამძღოლისათვის და 1500 მან. პოეტის აკაკისათვის მიეცათ სამი წლის განმავლობაში და დღეიდანაც ამლიეთ ზემოხსენებული ფული ყოველ წლივათ.

*** საჭირო ვაჭრობა ქაღალდზე. რკინის გზის კონტროლი აცხადებს, რომ მის ეზოში (მიხეილის ქუჩაზე № 132) დანიშნულია საჭირო ვაჭრობა 2,000 ფუთ ქაღალდზე. ქაღალდის ნახვა შეიძლება ყოველ დღე დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. აჭრობა დანიშნულია დამდეგის ივლისის 12-ში.

*** სადგომი სემინარიისათვის. სასულიერო სემინარიის მმართველობა დაეძებს 20 ოთახიან სადგომს.

*** სამწუხარო შეცდომა. ჩვენ ათ ივნისს დეპეშით შევეკითხეთ ქუთაისში თავ. გიორგი ჩიჩუაზე და პასუხად მივიღეთ, რომ იგი გარდაიცვალა მძიმე ავადმყოფობისაგანო. ეხლა როგორც გვატყობინებენ თავ. გიორგი ჩიჩუა ჯერ ცოცხალია და შესაძლებელია, რომ მორჩეს კიდეცო. სამწუხაროა, რომ ქუთაისის და ტფილისს შუა კაცი მართალს ვერ შეიტყობს.

*** გამწარებული შვილი. კვირას 13 ივნისს ჭავჭავაძის ქუჩაზედ მცხოვრებმა ახალგაზდა კაცმა გვარად ბ—წემ თავის დედის უშვერი სიტყვებიდგან გაბრაზებულმა განიზრახა ყელის გამოჭრა. ყმაწვილი კაცი, რომელმაც თავის მოკვლა განიზრახა ხელოსანია. ამ ჟამად ის კაცი არ მუშაობდა სახელოსნოში, რაღაც ოჯახის გამოწვეულ მიზეზების გამო და, რასაკვირველია, რადგანაც ამ ჟამად სახელოსნოზე თავ განებებული იყო, თავის სახლში ცხოვრებდა დედასთან და ძმებთან. დედის საქციელმა გადააწყვეტინა შვილის თვით-მკვლელობის ჩადენა, ზნე გაფუჭებული დედის ყურებას სიცოცხლეს სიკვდილი ამჯობინა, მაგრამ

კვირას, 20 თიბათვეს, საღამოს 8 საათზე სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია მეორედ საგანგებო საზოგადო კრება ქართველთა საალებ-მიმცემო ამხანაგობის „შუამავლისა"
კრებამ უნდა აირჩიოს ახალი თავმჯდომარე გამგეობისა ნაცვლად აღნიაშვილისა, რომელიც თავს ანებებს ამ თანამდებობას.
წევრთ ამხანაგობისას არ გაეგზავნებათ ცალკე მოწვევის ბარათები.

გამოვიდა და იყიდება
ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებსა და ეკკლესიებშიაც
ცხოვრება წმ. ქალწულ მოწამის
მარინესი
მეორედ გამოცემული მორჩილის რაჟდენ ბარამაძისა.
ფასი ერთი შაური. (10—6)

საჭირო
სახლი
ოც ოთახიანი
პირობების შესახებ უნდა ეკითხოს სასულიერო სემინარიის იკონომს. (3—2)

ექიმი
კ. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.
მიხეილის ქუჩა, № 16.
Докторъ К. М. Чиковани
Михайлов., № 16.

მის და საზედნიეროდ მალე აუჩნდათ მშველელნი, რომლებმაც დაიფარეს საბრალო ხიფათისაგან. მშველელებმა იმ დროს მიუსწრეს, როდესაც ერთხელ გამოიკრა დანა კისერში და ის იყო უნდა მეორედაც მოენაცვლებინა ხელი როდესაც დაიჭირეს, ჰრილობა როგორც ეტყობა საშიშარი უნდა იყოს.

— უყურადღებო ქუჩა. წინათაც იყო მოხსენებული და ეხლაც ვიხსენიებ, რომ ჰავჰავაძის ქუჩის ზემოთ მეთვალყურეს თვეში ერთხელაც ვერ დაინახავთ, უბედურ შემთხვევის დროს, უნდა ერთი საათი ეძებოთ სადღაც შორს ქუჩებში. მაგ. 13 ივნისს კაცი თავს იკლავდა და მეთვალ ყურე კი არსად სჩანს იყვირეს „გოროდოვოი, გოროდოვოი“ო, მაგრამ არ შეგჰამოდ ჰირმა, არსად არ სჩანდა, მერმე რომ არ გამოჩნდა გაიქცა კაცი, და ისე მოიყვანეს პოლიციელი.

*** **ქ. ქუთაისი** დუქნების დაკეტვის გამო კვირა-უქმე დღეებში. აგერ რამდენი ხანია გადაწყდა კვირა-უქმე დღეებში დუქნების დაკეტვა დილის ცხრა საათიდან 12 საათამდე და ნაშუადღევის 6 საათიდან მეორე დღემდე, მხოლოდ ამ რიგზე სრულდებოდა პირველ ხანებში; მის შემდეგ კი ვინც თავისით დაჰკეტს დუქნებს, თორემ ძალის დამტანებელი არავინ არის. პოლიციელი ერთხელ რომ შეატყობინებს მედუქნეებს, დუქნის დაკეტვის დროათ და მერე გინდ დაჰკეტონ გინდ არა იმას არ ენაღვლება. ვინც რომ დიდი ვაჭრებია, მისი სურვილით ხურავენ დროზე დუქნებს, წვრილმან მოვაჭრეებს და ხელოსნებს ისე ღია აქვთ დუქნები, რადგანაც ძალას არავინ ატანს. (მე მოგახსენებთ მხოლოდ მიხაილოვის ქუჩის ვაჭრებზე და ხელოსნებზე. მკითხველი, რასაკვირველია, დაგვეკითხება: ნუ თუ მარტო მიხაილოვის ქუჩაზე ხდება ასეო? შეიძლება სხვაგანაც ეგრე ხდებოდეს, მაგრამ მე ამ სტრიქონების დამწერი ერთი იმ ქუჩის ხელოსანის დუქანში მოთავსებული. როდესაც საქმე დღეა სულ განუწყვეტლივ დუქანში ვმუშაობ და კვირა-უქმე დღე კი დუქნის დაუკეტაობის გამო ვერსად მივდივარ, მაშ საიდან მეცოდინება, რომ სხვაგანაც ასე ხდება). ჩვენ იმ ქუჩაზე მოთავსებული ხელოსნების მოჯამაგირეები წელიწადში სულ ორჯელ ვღირსებით წირვის მოსმენას, რადგანაც როგორც უკვე ვსთქვით, დუქნები გაღებულია (ან-და რას გვიკეთებს ნახევრათ შემოხურული დუქანი, სულ გაღებული იყოს გვირჩევნია!..) ამ კვირაში ვაჭრებმა თხოვნა მიართვეს ქალაქის გამგეობას, რომ საღამოს 6 საათის მაგიერ 3 საათზე დაიკეტოს დუქნებიო, რადგანაც ნოქრების საყვედურს ვერ გაუძლითო. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ეგრე დაემტკიცებინოთ, თუ ნახევრათ შემოხურულ დუქანში ვიქნებით გამოწყვდეული. თუ გადაწყდა ეს დიდ ვაჭრებმა ისურვეს და თავიანთ მხრივ კიდეც მოიყვანენ სისრულეში. ეხლა დაგვრჩენია მხოლოდ ერთი საშუალება მოვიქცეთ ბოქაულის ბ. არსენოვის მიმართ თხოვნით, რომ ერთხელ მაინც დაათვალიეროს დარწმუნდეს თუ როგორც ასრულებენ მის ბრძანებას.

ხელოსანი

*** **დარჩელი.** (ზუგდიდის მაზრა) აქაური ამბავი. უკანასკნელ ხანების წვიმამ მეტად ცუდი გავლენა იქონია აბრეშუმის ჭიებზედ და ბევრ ერთგულ მუშას გაუხადა მისი ნაშრომ-ნაოფლარი შორს უხმოდ გარდასაყარად და თუ ვისმეს აქა იქ დარჩა, იმასაც არ მოსვლია წარსულ წლების ოდენი და სალი პარკები, და ისიც რაც მოვიდა რას აკეთებს, როდესაც ფასი ისეთი ნაკლებია, რომ გავონება დაგეზარება მასზედ შრომის სამართლიანად დამფასებელ ადამიანს.

„ქილა“ (ათი გირვანქა) ორი ორ-ნახევარი მანეთია გარდა იმ უპირველეს პარკებისა რომლის არა სამი მანეთი, როგორც იძლევიან ჩვენი „სამართლიანი მყიდველები“ 7—8 მანეთიც ცოტაა, მაგრამ ვისზე რა გვეთქმის ჩვენ ხახა დაგვიღია ისინი კი ხელიდან ლუკმას ვხედავთ ისე ნაბაყოფლობით გვართმევენ და ჩვენ ლუკმას ისინი ყლაპვენ. ვისი ბრალია, თუ არა ისევ ჩვენი? განა არ შეგვიძლიან, თვით ჩვენი საქონლის მოგებით გავაკეთოთ ხოლმე ჭიების მოსაკლავი ქარხანა, რომ მოვჰკლათ და გამოვიდეთ იმ უკიდურეს მდგომარეობისაგან, რომლის ძალით იძულებულ ვართ, ძალუნებურად, თუგინდ ნახევარ მანეთის მეტიც არ მოგვეცენ „იმ კურთხეულებმა“ გვმართებს მივცეთ პარკები ჭიების გამოპეპელებამდე? ვგონებ შეგვიძლიან და სულ ადვილადაც, მხოლოდ სად არის პირი, სად არის თავი, სად არის საზოგადოებისათვის კეთილის მზრუნველი კაცი, რომ ითავოს და დაარსოს ჩვენ შორის ესრეთი სიკეთე?! ორიოდ შეგნებულ პირებისაგან თუმცაღა გავიგონე ამ საგნის შესახებ რამდენიმე სიტყვები და თითქმის მომავლისათვის კიდეც აღსრულებაში მოიყვანენ, თავიანთ სიტყვას, მაგრამ რაკი ესეთი სიტყვები არა ერთხელ გვსმენიათ და ჩაუვლია უხმოდ, დღესაც არ გვჯერა და ბევრს გვიძგერს გული შიშით, რომ ეს უკანასკნელი სიცუგებიც გამოგვიცრუვდება და ჩავრჩებით იმავე ტაფაში, რომელშიაც ჩვენის მოუნდომლობ-უთაობით დღეს ვ წვით. ღმერთმა ქნას იმ კეთილ პირებს არ დაზარებოდეთ შრომა და საზოგადოებასაც ეგრძნოს თუ რამდენი სიკეთე შეეძინება იმით კვლავ მათ მიეცეს შემწეობა და მათი აზრი განხორციელებულიყოს.

— „მატყუარა ყაჩაღ-ბატონა“. მაისის 29-ს ჩამობრძანდა, არ ვიცით რით, ერთი დაბალ-დაბალი სამგლოვიარო ტანისამოსში კოხტათ ქამარ-ხანჯლით მოკაზმული, ცოტა არ იყოს ორთავ თვალებ ელამი, რკინის ფერი შავწვერიან ახალგაზდა ვაჟბატონი. როგორც თვითონ მოგვითხრო, გვხლებია სოფ. გაგდიდან (აფხაზეთშია), სადაც ხეტყის სახერხი ქარხნებია, გვარად კუპრაძე გურული,

## ქართულ წარმოდგენების მოწყობაზე დამდეგ სეზონში *).

საზოგადო მოსაზრებანი. უმთავრესი ნაკლი ჩვენის თეატრისა, მეტადრე ამ უკანასკნელ ხანებში, ყველამ კარგად უწყის,— ეგ გახლავს მსახიობ ქალთა სიმცირე, ან უკეთ რომ ვსთქვათ, მათი სრული არ ქონვა. ეს გარემოება აგერ ხუთიოდე წელიწადია რაც სასტიკად აფერხებს ჩვენის თეატრის წინმსვლელობას და თუ დაუყონებლივი ზომები არ იქმნა მიღებული, შესაძლებელია, რომ წარმოდგენებიც შეჩერდეს.

ამიტომ გამგეობამ თავი და თავი მოვალეობად უნდა მიიჩნიოს ამ ნაკლის გასწორება რაიმე ძალღონით. ჯერ ხანად ჩვენ გვგონია საკმარისი იყოს შემდეგი: 1) გამგეობა დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს თვალყურის დევნას იმ წარმოდგენებზე, რომელნიც იმართებიან როგორც აქ ტფილისში, აგრეთვე პროვინციებში; ამ უკანასკნელ შემთხვევისათვის უნდა გამართოს მიწერ-მოწერა ყველა ნაცნობებთან პროვინციებში და თავის აგენტებიც გზავნოს ხოლმე. 2) თუ ხსენებულ წარმოდგენებში აღმოჩნდა ოდნავ მაინც ნიჭის პატრონი, გამგეობამ მაშინათვე უნდა მოიწვიოს იგი და შეუდგეს მის წვრთვნას. 3) თვითონ გამგეობამ უნდა მართოს ამ ზაფხულს გამოსაცდელი წარმოდგენები როგორც ჩვენს თეატრში, აგრეთვე ცირკში, გერმანელთა ბაღში, ავჭალის და ნაძალადევის სახალხო სცენებზე. 4) ამ წარმოდგენებს უნდა მიეცეს სახალხო ხასიათი—ამით გამგეობა ორ საგანს მიაღწევს - გამოსცდის და თან გაწვრთნის ახალ-გაზდა მოთამაშეებს და იმავ დროს თვითვე იკისრებს ხალხურ წარმოდგენების ხელმძღვანელობას და მით ხელს აღებინებს ვინგინდარებს მითამდა ხალხური წარმოდგენების მართვაზე. 5) ახალგაზდა მსახიობთა მოწვევა გამოსაცდელად და საზოგადოდ ყოველივე ნაბიჯი ამ საქმისა, რაც შეიძლება ვრცლად უნდა იყოს გამოქვეყნებული ჟურნალ-გაზეთების თუ კერძო მიწერ-მოწერის საშუალებით და განცხადებებით. რა თქმა უნდა, ყოველივე ამას ხარჯი მოუნდება, მაგრამ იმედია ეგ ხარჯი უნაყოფოდ არ ჩაივლის, ხოლო ხარჯზე უფრო საჭიროა სიბეჯითე და მეცადინეობა, რაიც ახლანდელს გამგეობას არ აკლია და მიტომ საფიქრებელია, რომ იგი გამარჯვებული გამოვიდეს დამდეგი მართლაც და გასაჭირი სეზონიდგან

რეპერტუარის შესახებ. ყოველივე ზემოდ თქმული შეადგენს მოსამზადებელ შრომას, რომლის დაგვირგვინება შეიძლება მხოლოდ რეპერტუარით. ყველამ უწყის, რომ რეპერტუარი მჭიდროდ დამოკიდებულია თვითონ დასზე, მსახიობთა ძალღონეზე და მათს ნიჭისა და უნარის ხასიათზე. ამ მხრივ ჩვენი თეატრის რეპერტუარი და მისი ხასიათი წინა წლებისას ეგვანება, რადგან უმთავრესი მოთამაშენი ერთი და იგივენი არიან. გამგეობამ მხოლოდ ამ რეპერტუარს რაც შეიძლება სიცხოველე უნდა მიუმატოს, ესე იგი, შესამჩნევად განაახლოს იგი და თან შინაარსი მათი შეუფეროს ჩვენი ერის ბუნებას და უმთავრესად კიეროვნულ იდიალებს შეუწყოს.

თავდაპირველად გამგეობამ უნდა გამოაცხადოს ჯილდო (პრემია) საუკეთესო ორიგინალი ანუ გადმოქართულებული პიესებისათვის. ჯილდოს ზომა ცოტათი მაინც საზარბიელო უნდა იყოს. ამის გარდა სათარგმნელი პიესები ამ თავითვე განაწილოს გადასათარგმნელად. ჩვენ დავასახელებთ დახელოვნებულ მთარგმნელებად: ვასილ აბაშიძეს, კოტე მესხს, მიხ. ნასიძეს, არტემ ახნაზაროვს, ალ. ნიკიტინს, ივანე ჯაჯანაშვილს, პ. უმიკაშვილს, დომინიკა განდეგილს ნ. ავალიშვილს და სხვათა.

ამასთანავე ეხლავე უნდა აინუსხოს ის პიესები, რომელნიც უკვე დრამ. საზოგადოებას მოეპოვება თავის ბიბლიოთეკაში, მაგალითად ვ. ყიფიანის ისტორიული დრამა, ზუდერმანის პიესები და სხვ.

*) ჩვენ სიამოვნებით დავუთმობთ ხოლმე ადგილს გაზეთში წერილებს ქართულ თეატრზე. რედ.

უმცროსი ძმა მართლაც იქაურ ერთ ქარხნის პატრონ ბ. კუპრაძისა. დაუყონებლივ ამ ახალგაზდამ დიდ შემძლებელ ვაჟბატონის ხმით მოისურვა ცნობა აქაურ ავკარგისა, ხალხის ზნეობისა, თუ რამდენათ საიმედონი არიან აქაური მცხოვრებნი და შეეძლება თუ არა დაიქირაოს რამდენიმე ურმები და საიმედო „პრიკაშჩიკები“, რადგან დიდი სამუშაოების გამო იქ ვერ ეშოვა საკმაო მუშა და საიმედო „პრიკაშჩიკები“. მეორე დღესვე წარუდგა ათიოდე მეურმენი და საპრიკაშჩიკო ყმაწვილები, რომლებსაც მაშინვე გაურიგდა. „პრიკაშჩიკებსაც ხომ იმ დღიდან 20-დან 25 მანეთამდე თვიური ჯამაგირი დაუნიშნა. წასვლის დრო გადასჭრეს, მაგრამ როდესაც მეურმეებმა მოსთხოვეს რამდენიმე მანეთი ბეთ ახალ ბატონ ალას და მან უპასუხა „მე ბე მოგცეთ და თქვენ თქვენ ოჯახში დაბრძანდეთ, აბა მე სად უნდა გდიოთ თქვენაო? მათ შორის უნდობლობა ჩამოვარდა და მის მაგიერად, რომ წასულიყვნენ ურმებით, წავიდა ორიოდ მეურმე ცხენებით, ადგილობრივ სამუშაოს დასახედათ და ნამდვილ ამბის შესატყობად გაგდაში.

სანამ ისინი ამბავს შეიტყობდნენ ჩვენმა გრიგოლმა თავის „პრიკაშჩიკებს“ თავდარიგი მისცა „თქვენ აქ მოიცადეთ დუქანში, მე აქ ერთი აზნაურისას საქმე მაქვს და იქ უნდა წავიდე და თუ ჩემ დაბრუნებამდე დარჩნენ მუშები. მაგრამ არც ამისათვის დაუყრიათ ხეირი, ფიცხლავ რევოლვერის პატრონმა ბოქაულს ცნობა მიართვა, რომელმაც 6 ივნისს დ. ზუგდიდში შეიპყრო და საქმე გადასცა გამომძიებელს. როგორც აღმოჩნდა ის ყოფილა სენაკის მაზ. და კოტიანეთის სოფ. მცხოვრები აზ, ევ. გ. გაგუა, აღმოჩნდა. ისიც, რომ ეს გაიძვერა ვაჟ-ბატონი ყოფილა ასეთ ასეთების მომქმედი, რადგან არა პირველი და მეათეა თურმე ასეთი მაგის მოქმედებანი. იმედია დააჭკვიანებს სამართალი და შემოაცლის როგორც მაგას აგრეთვე მაგისთანა უსაქმოთ მაწანწალა „მატყუარა“ ყმაწვილებს მაგის მაგალითით, ცრუ იარაღებს.

კოლონა.

*** **დ. ზუგდიდი** (სამეგრელო). ქუთაისის დრამატიულ დასის მოლოდინში. დ. ზუგდიდისთანა სუფთა და ლამაზი პატარა ქალაქი არ მოიძებნება მთელს სამეგრელოში, მხოლოდ ამ დაბას აბრკოლებს ის, რომ აქ მატარებელი არ დადის. სხვაფრივ არავითარი წუნი არ დაიდება. ქუთათური დრამ. საზოგადოება ყოველ ახლო-მახლო დაბა ქალაქებში დადის ზაფხულის სეზონში, ხოლო ზუგდიდს ჯერ არც კი უხილებია და არ დამტკბარა მათის წარმოდგენის ყურებით ამის მიზეზათ შეიძლება დავასახელოთ ის, რომ ამ დრამატიულ საზოგადოების დასს ყურადღება არ მიუქცევია დაბა ზუგდიდის ვითარებისათვის, ან და ზუგდიდში არ გაპორეულა იმისთანა კაცი, რომელსაც შეეტყობინებინა ქუთაისის დრამატიულ საზოგადოების დასისათვის, ან რეჟისსორის, ან გამგესათვის, რომ ზუგდიდელები დიდ-მოხარულნი შეიქნებოდნენ მათის ჩამოსვლის და არც არავითარ ზარალს შეხვდებოდნენ. უეჭველია ჩვეულებისამებრ ამ ზაფხულშიც ჩამოივლის ეს დასი ჩვენს დაბა-ქალაქებს, როგორც მაგ. ახალ სენაკში გამართავს წარმოდგენებს პეტრე პავლობის დღესასწაულში, როდესაც აქ იციან დიდი ჯარიანობა: ლოლი და სხვანი და მაშინ იმედია, არც ჩვენ მოგვაკლებს მათ ყურადღებას და გვასიამოვნებს ერთი-ორიოდე წარმოდგენის გამართვით, რომლისთვისაც დავრჩებით დიდი მადლობელი და ნაცვლად ჩვენც ვასიამოვნებთ.

გურულ მეგრელი.

## ყურმოკრული საუბარი

ბიჭი სწმენდდა ალის წამოსასხამს. ამ დროს შევიდა ერთი უცნობი კაცი, მისცა წერილი და უთხრა:

— ეს შენს ალას გადაეცი და მოახსენე, პასუხი მალე მიბრძანოსთ.

ბიჭმა შეუტანა ბატონს წერილი; ბატონმა გახსნა და წაიკითხა:

„გშორდები წამოსასხამო და გრჩებათ ბარათიო“!

ბატონი და ბიჭი საჩქაროდ გავიდნენ, მაგრამ არც წამოსასხამი დახვდათ და არც წერილის მომტანი. მხოლოდ ერთი ქაღალდის ნაჭერი დატოვებინა, რომელზედაც ასე ეწერა:

„ახალი წამოსასხამი იყიდეთ“.

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

11 ივნისი

**ბერლინი.** იმპერატორმა უბოძა სტატს სეკრეტარს ბიულოვს გრაფობა.

**პარიზი.** თათბირის შემდეგ, ვალდეკ რუსოს თანაშემწეები ელისეს სასახლეში წავიდნენ. სამინისტრო სრულიად შესდგა: ვალდეკი არის პრეზიდენტი და შინაგან საქმეთა მინისტრი, დელკასე—გარეშე საქმეთა მინისტრი, გენერალი გალიფე—სამხედრო, ლანესანი—ზღვათა, მონისი—იუსტიციის, კაიო—ფინანსთა, მილიერანი—ვაჭრობის, ლეიგი—საერო განათლებისა, დეკრე—ახალშენთა, ჟაკ დიუპუი—მიწად-მოქმედებისა, ბოდენი—საზოგადო მუშაობისა.

**პარიზი.** მუჟო ისევ დარჩება ფოსტა-ტელეგრაფის სტატს სეკრეტარას თანაშემწედ. ახალი მინისტრები შეიკრიბებიან ხვალ ელისეს სასახლეში, ლუბეს თავმჯდომარეობით. ამბობენ, რომ სამინისტრო დეკლარაციაზედ ბევრი ღონისძიებანი იქმნება მიღებული ზოგიერთ სამხედრო მოხელეთა წინააღმდეგ, რომელთაც გადააჭარბეს სიტყვით ანუ კალმით, რასაც შეუძლიან შეასუსტოს სამხედრო დისციპლინა. გენერალ ჟერცინგერს ხელს არ ახლებენ, მაგრამ გენერალი გარდშმიდტი და პოლკოვნიკი საკსე პასუხის გებაში მიეცემიან. როგორც ამბობენ სამინისტრო დეკლარაციაში გან-

დასის შედგენა. ჩვენს დასში ვინც კი არის ყველანი მოსაწვევნი არიან, ზოგი თვეობით და ზოგი კი თვითო გამოსვლით. თვეობით მოწვეულნი მსახიობნი უნდა შეადგენდნენ ისეთს კრებულს, რომ მათის საშუალებით, თუნდ გაჭირვებით, შეიძლებოდეს წარმოდგენის გამართვა. თვითონ დასი ძვირად არ უნდა ღირდეს.

ხარჯი როგორც დასის შენახვაზე აგრეთვე მოწვეულებზე თუ წვრილმან ხარჯზე და თეატრის ქირაზე, არ უნდა აღემატოს თვეში არამც და არამც 2000 მანათს. დასი უნდა დაჯდეს, თვეში 900 მან. მოწვეულები (გასტროლიორები და წვრილი აქტიორები) 300 მან. თეატრის ქირა და სხვა წვრილმანები 800 მან.

შემოსავალი დამოკიდებულია თვითონ საქმის ავკარგიანობაზე, მაგრამ რაც უნდა მცირედ ვიგულისხმოდ იგი, თვეში უნდა შემოვიდეს ერთი მეორესთან 1500 მან. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ უმთავრესი თვიური ხარჯი, გინდა ერთი წარმოდგენა იყოს გამართული გინდა ათი, მაინც უცვლელად რჩება, მაშინ ნება უნებლიედ უნდა ვიგულისხმოდ, რომ რაც ხშირი იქნება წარმოდგენა მით უკეთესია, რაიც მაგალითებმა დაამტკიცა. თუ გარემოება ხელს შეუწყობს, თვეში უნდა გაიმართოს რვა და ყოველ შემთხვევაში არა ნაკლებ ექვსი წარმოდგენისა, მაშინ შემოსავალი ოც-თუმნამდე კიდევ იმატებს.

იაფ ფასიან წარმოდგენებზე. უეჭველია ყველა შეატყობდა, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ქართველ მდაბიო ხალხში რაღაც მოძრაობაა, რომელიც ჯერ ხანათ გამოიხატება იაფ-ფასიანი წიგნაკების კითხვაში, სწავლა განათლების სურვილში და საზოგადოდ გონებრივ საზრდოს ძებნაში. სხვათა შორის აშკარაა, რომ იაფ ფასიანი წარმოდგენები ძრიელ იზიდამენ ხალხს, მიუხედავად იმისა, რომ იაფ-ფასიანი წარმოდგენები, ან როგორც მას ტყუილად უწოდებენ „სახალხო წარმოდგენები“, უფრო მეტ შემთხვევაში საძაგლად არიან ხოლმე გამართულნი და სარგებლობის მაგიერ ვნება მოაქვთ მაყურებლებისათვის. ეს ამბავი, ეს სახასიათო მოვლენა ნათლად უნდა ამტკიცებდეს, თუ როგორ უნდა მოიქცეს გამგეობა; იგი სიხარულით უნდა მიეგებოს მდაბიო ხალხის ნდომას, ხალისს და, შეძლებისა და გვარად, უნდა მოუკლას კიდეც წყურვილი. ამისათვის საჭიროა, რომ დამდეგ სეზონში ჩვენს თეატრში გაიმართოს რამდენიმე იაფ ფასიანი წარმოდგენები და თუ ნიკიტინის ცირკში ზამთარს არა იქნება რა, უთუოდ მანდ სცენა მოაწყოს და ყოველ კვირა-უქმეობით ჰმართოს ხოლმე „სახალხო წარმოდგენები“ იაფ ფასად და ჩვენის ნიჭიერის არტისტების მონაწილეობით. ეს საქმე თუ მოაწეს-რიგა გამგეობამ, იგი შესანიშნავ სამსახურს გაუწევს მდაბიო ხალხს, რომელიც დღემდე საბედნიეროდ გადაგვარებული არ არის, და იმავ დროს გამგ. აღნიშნავს თავის მოქმედებას ოქროს ასოებით ჩვენის თეატრის ისტორიაში. საქმე დასაწყისია, ეს დასაწყისი ღირსია სწორედ იმისა, რომ გამგეობამ შეალიოს მას თავისი შრომა და სიმხნევე სეზონის დასაწყისა. რადგან წელს სექტემბერში სრულდება სწორედ ოცი წელიწადი, რაც სამუდამო დასი მოქმედებს, ამიტომ, უეჭველია, სეზონის დაწყება და პირველი წარმოდგენა სწორედ ამავე თვეს უნდა მოხდეს. ეს დღე და ეს წარმოდგენა, რა თქმა უნდა შესაფერის ამბით და ზეიმით უნდა იქმნეს მოჩარხული.

ჯერ ხანად ამით ვათავებთ ჩვენს საუბარს.

ტასიაშვილი

—

P. S. ერთი მცირე შენიშვნაც. დრამატიული საზოგადოებამ უნდა ეცადოს რაც შეიძლება საჯარო ჰყოს ხოლმე თავისი სხდომები (რა თქმა უნდა, გარდა კერძო კითხვებისა) უნდა მოიწვიოს ხოლმე მცოდნე და ამ საქმის გულშემატკივარი პირნი და მათთან ერთად ითათბიროს ჩვენი თეატრის დაწინაურება-დღეგრძელობაზე.

ცხადებული იქმნება მხოლოდ, რომ კაბინეტს სურს საფრანგეთი გამოიხსნას ეხლანდელ გაჭირვებულ მდგომარეობიდგანო. პარლამენტს სთხოვს, რომ იმან მხედველობაში იქონიოს კაბინეტის მოქმედება, და არა იმის კერძო წევრები და დახმარებას მოსთხოვს ყველა რესპუბლიკელსო.

**სოფია.** გუშინ ქუჩაზე მოჰკლეს საეროვნო კრების ბიუროს ერთი უმცროსი მოხელე. ჰფიქრობენ, რომ მკვლელები სოციალისტები უნდა იყვნენო.

**პარიზი.** ზომიერი და რესპუბლიკანური გაზეთები ამბობენ, რომ ვალდეკ-რუსსოს სამინისტროს წევრებმა ძლიერ გააკვირვეს საზოგადოებაო. რადიკალური და რევიზიონისტთა გაზეთები გამარჯვებას ულოცავენ ვალდეკს, რომელმაც ასეთი გაბედულობა გამოიჩინა. სოციალისტთა გაზეთებიც ამასვე ამბობენ. „Matin“-ი აცხადებს, რომ გალიფე ეხლავე დანიშნავს ბრიუგერს ცურლინდენის ადგილასაო, თხოვნის შემოუტანლად დაითხოვს სამსახურიდგან ბუადეფრს და გონზს, შტატს გარეშე დაანარჩუნებს პელიეს და პარიზიდგან განდევნის როჟესო.

# განცხადებანი


## ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1899 ГОДЪ

### НА ЛИТЕРАТУРНЫЙ И НАУЧНО-ПОПУЛЯРНЫЙ ЖУРНАЛЪ

для самообразованія

# МІРЪ БОЖІЙ

*Выходитъ 1-го числа каждаго мѣсяца въ размѣрѣ не менѣе 25 печ. листовъ.*

1899 году журналъ будетъ издаваться по той же программѣ и при томъ же составѣ редакціи и сотрудниковъ, причемъ для напечатанія предполагается, между прочимъ, слѣдующее:

БЕЛЛЕТРИСТИКА ОРИГИНАЛЬНАЯ: «Освободилась», романъ А. Вербицкой; «Риштау», повѣсть В. Сѣрошевскаго; «Отъ Волги до Портъ-Артурса путевые очерки), Н. Гарина; «Душная ночь» (Изъ степныхъ очерковъ), разк. Ю. Безродной; «Каинъ и Артемъ» (Изъ жизни босяковъ), разск. М. Горькаго; «Въ ночной смѣнѣ», разсказъ изъ военнаго быта А. Куприна;; разсказы г.г. Бунина, Патапенко, Станюковича, Чирикова

**Научныя статьи и сочиненія.** «Антропологическіе очерки» проф. Брандта: «Современное положеніе вопроса о гипнотизмѣ», .В Битнера; «Чарльзъ Парнель», Ев Тарле; «Очерки по исторіи русской культуры», часть Ш. П. Милюкоа. «Александръ 1 и его время», А. Прѣсякова: «А. С. Пушкинъ (юбилейнав статья) Ив. Иванова; «В. Г. Короленко», Ив. Иванова- «Ада Негри», В.я Фритче: «Очерки по соціальной экономіи», прив.-доц. М Туганъ-Барановскаго; Послѣдствія переворота въ земледѣліи», Л. Крживицкаго; «Положеніе труда въ Аангліи», Л. Давыдовой; «Рихардъ Авенаріусъ и эмпиріокритицизмъ», проф. Ф. Г. Челпанова; «Экспериментальная психологія, ея настоящее и будущее, д-ра философіи В. Анри.

ПЕРЕВОДНЫЯ СОЧИНЕНІЯ, «Очерки по исторіи соціальной философіи», Людвика Штейна, пер. съ нѣмецкаго; «Религія красоты» (джонъ Рескинъ и его идеи), Сизерана; «XIX вѣкъ въ различныхъ областяхъ науки, техники и общественной жизни», компилятивныя статьи; «Изъ исторіи тайныхъ обществъ у различныхъ народовъ».

Постоянные отдѣлы. Критическія замѣтки Изъ западной литературы. На родинѣ. За границей. Научный сбзоръ. Текущія научныя новости. Библіографія. Новости иностранной литературы.

## УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

Съ доставкой и пересылкой во всѣ гороса Россіи на годъ 8 руб. о всѣ
Безъ доставки на годъ . . . . . 7 »
За границу на годъ . . , . . . 10 »
Вмѣсто разсрочки допускается подписка:

**По полугодіямъ;**

Съ доставкой и пересылкой во всѣ города Россіи на полгода 4 р.
За границу . . . 5 р
Безъ доставки по соглашенію конторой

**по третямъ года:**

Съ доставкой и пересылкой в города Россіи;
въ январѣ . , . 3 р
» маѣ . . . . 3 р.
» сентябрѣ . . . 2 р.
За границу: въ январѣ . 4 »
» » » маѣ . . 3 »
» » » сентябрѣ . 3 »

Адресъ: С.-Петербургъ, Лиговка, 26.

Подписавшіеся на полгода или на треть года продолжаютъ подписку безъ повышенія подписной цѣны

Уступки съ подписной цѣны никому не дѣлается.

Издательница *А. Давыдова.* Редакторъ *В. П. Острогорскій*



## ПОДПИСНАЯ ЦѢНА НА ГАЗЕТУ

# „СВѢТЪ“

## СЪ „СПРИЛОЖЕНІЕМЪ РОМАНОВЪ“

### СЪ ПЕРЕСЫЛКОЮ И ДОСТАВКОЮ:

**На четверть года:**

съ 1 января по 1 апрѣля . . . . . . .
« 1 апрѣля по 1 іюля . . . . . . . 2 р.
« 1 іюля по 1 октября . . . . . . .
« 1 октября по 31 декабря . . . . . .

**На полгода:**

съ января или съ 1 іюля . . . . . . . . 4 —

**На девять мѣсяцевъ:**

съ 1 апрѣля . . . . . . . . . . . 6 —

**На годъ:**

съ 1 января . . . . . . . . . . . . 8 —

**На иные сроки подписка не принимается.**

ПРИМѢЧАНІЕ. Подписка на «Приложеніе Романовъ» къ газетѣ «СВѢТЪ» принимается лишь одновременно и нераздѣльно съ газетою на одинъ и тотъ же срокъ. Лица, выписавшія одну газету, могутъ получить впослѣдствіи «Приложеніе Романовъ» не иначе, какъ выписавъ новый экземпляръ газеты съ «Приложеніемъ».

**Адресъ Редакціи: спб. Невскій, 138.**

Редакторъ-Издатель **В. В Комаровъ.**



# РОССІЯ

## ГАЗЕТА ПОЛИТИЧЕСКАЯ и ЛИТЕРАТУРНАЯ

ПОДПИСНАЯ ЦѢНА на ГАЗЕТУ **„РОССІЯ“**

| | съ пересылкою въ россія р. | к. | за границ. р. | к. | | съ пересылкою въ россія р. | к. | за границ. р. | к. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| На годъ . . . | 12 | — | 24 | — | На 6 мѣсяц. . . | 6 | 60 | 13 | 20 |
| » 11 мѣсяц . | 11 | 10 | 22 | 20 | » 5 » . . | 5 | 70 | 11 | 40 |
| » 10 » . . | 10 | 20 | 20 | 40 | » 4 » . . | 4 | 80 | 9 | 60 |
| » 9 » . . | 9 | 30 | 18 | 60 | » 3 » . . | 3 | 90 | 7 | 80 |
| » 8 » . . | 8 | 40 | 16 | 80 | » 2 » . . | 3 | — | 6 | — |
| » 7 » . . | 7 | 50 | 15 | — | » 1 » . . | 1 | 60 | 3 | 20 |

**ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ:**

Въ С.-Петербургѣ, въ главной конторѣ газеты «Россія (Невскій № 86).

Допускается разсрочка платежа подписныхъ денегъ: для служащихъ—по третямъ чрезъ ихъ казначеевъ; неслужащіе же могутъ обращаться съ своими заявленями въ С. Петербургѣ (Невскій № 86).

За перемѣну адреѣсса уплаиивается 40 коп. Отделрные нумера газеты «Россія» продается по 6 коп.

**ПРІЕМЪ И ПЕЧАТАНІЕ ОБЪЯВЛЕНІИ:**

Плата за объявленіе: впереди текста за каждую строку петита по 50 коп позади текста по 25 коп. Контора газеты открыта ежедневно съ 10 ч. до 6 часовъ по полудни: редакція газеты открыта съ 1 часу пополудни до 10 часовъ вечера. Редакторъ принимаетъ для личныхъ объясненій ежедневно отъ 2 до 5 часовъ пополудни.

Доставляемыя въ редакцію статьи должны быть за подписью и съ адресомъ автора, безъ чего онѣ печмтаемы не будутъ. Статьи, доставляемы безъ обозначенія условій, оплачиваются по усмотрѣнію редакціи. Рукописи яне возвращаются.

**Завѣдуютъ отдѣлами:**

1) Финансовымъ, экономическимъ, земскимъ и крестьянскимъ: Г. П. Сазоновъ,
2) Литературнымъ и политическимъ: А. В. Амфитеатровъ.
3 Научнымъ: професоръ П. И. Ковалевскій, dr. И. Л. Янушкевичъ.
4) Внутреннихъ вопросовъ: М. П. Петровъ.
5) Иностраннымъ: Л. Ю. Гольштейнъ.
6) Музыкальнымъ: профессоръ Н. Ѳ. Соловьевъ и Я. А Рубинштейнъ.
7) Художественнымъ: И. Ф. Порфировъ.
8) Хроники: А. Н. Чермный.
9) Провинціальной хроники: М. В. Головинскій.
10) Театральной хроники: Ю. Д. Бѣляевъ.
11) Московскимъ: В. А. Гиляровскій.

Общественный фельетонъ—по воскресеньямъ— Old Gentleman.
Провинціальный фельетонъ—по субботамъ—В. М. Дорошевичъ.
По средамъ печатается «Миллионеръ» повѣсть В. Г. Авсѣенко.
Постоянный корреспондентъ въ Парижѣ: А. П. Плетневъ.
Корреспондентъ въ специальной командировкѣ по недороднымъ мѣстностямъ: Сергѣй Печоринъ (С. А. Сафоновъ)
Постоянные собственные корреспонденты въ Вѣнѣ, Львовѣ, Варшавѣ, Софіи, Константинополѣ, Одессѣ и т. п.

(8—7)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 14 Юня 1899 г. სტ. „ცნ. ფურც.“) გ. ბუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი გ. წერეთ